



განცხადება პირველი არხის საგამოძიებო ფილმის შესახებ

„კოალიცია მედიის ადვოკატებისთვის“ მიუღებელ და საფრთხისშემცველ პრეცედენტად აღვასებს პირველი არხის მენეჯმენტის მხრიდან ხორავას ქუჩის ტრაგედიის შესახებ „გამომძიებელი რეპორტიორის“ მიერ მომზადებული ფილმის ეთერში გასვლისთვის წარმოებულ პროცედურებს.

პირველი არხის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ამ თემაზე გავრცელებული განცხადების თანახმად, ეთერში გასვლამდე მენეჯმენტმა „აღნიშნული ფილმი გადააგზავნა ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გამოსაძიებლად შექმნილ საპარლამენტო დროებით კომისიაში ერთი შევითხვით, ხომ არ შეუძლიდა ხელს ამ ფილმის გაშვება გამოძიების პროცესს?!

„ფილმი ასევე გადაეგზავნა სახალხო დამცველს, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას“ .

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის „შესაბამისი სამსახური“ მოკლებულია უნარს დამოუკიდებლად, როგორც კანონი კარნახობს - პოლიტიკური და ინტერესთა ჯგუფების ჩარევის გარეშე, მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილება, აჩვენებს მენეჯმენტის არაკომპეტენტურობას, შიდაწარმოების სტანდარტებისა და პროცედურების მოშლილობას, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის ჟურნალისტთა, მით უფრო გამომძიებელ ჟურნალისტთა, გამოხატვის თავისუფლების უფლებას საზოგადოებრივ მაუწყებელში.

კოალიცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეთიკურ დილემებზე მსჯელობა არის თვითრეგულირების ნაწილი და დაუშვებელია თვითრეგულირების თვითცენზურასა, თუ პირდაპირ ცენზურაში გადაბრდა.

გამაოგნებელია აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც ერთის მხრივ ამბობს, რომ „მაუწყებლის შესაბამისი სამსახურის აზრით, ფილმი არ აკმაყოფილებს ჟურნალისტური საქმიანობის სტანდარტებს და მაუწყებელთა ქცევის კოდექსს A“ მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭომ ფილმის ეთერში გაშვება საპარლამენტო კომისიის მითითებითა და ნებართვით გადაწყვიტა.

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის გამოთქვამს წუხილს, რომ პარლამენტის წევრებმა, პოლიტიკოსებმა რომლებსაც მაუწყებლის მენეჯმენტის მხრიდან წინასწარი რევიზიისთვის მიენოდათ საგამომძიებო მედიაპროდუქტი, უნებურად შეუწყვეს ხელი ჟურნალისტური საქმიანობის დამოუკიდებლობისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის საშიში პრეცედენტის ლეგიტიმაციას.

კოალიცია მოუწოდებს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტს შექმნას ეფექტური მექანიზმები საგამომძიებო ჟურნალისტური პროდუქტის დამოუკიდებელი წარმოებისთვის, იმგვარად რომ უზრუნველყოფილი იყოს, როგორც ეთიკური პრინციპების, ისე საკანონმდებლო ვალდებულებების და საკონსტიტუციო ნორმების დაცულობა, უზრუნველყოფილ იყოს ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლება.